

## მეგობრის გახსენება

ამ ოცდახუთი წლი წინათ (ადრეც და მერეც) მოსკოვში ჩეხოვის ქუჩაზე ერთ სრულიად უსარგებლო, თუმცა, შესაძლოა, ბევრის თვალში პრესტიჟულ დაწესებულებაში მსახურობდა გიორგი ჯაბაშვილი, ესთეტი, სკანდინავისტი, მწიგნობარი, ბიბლიოფილი, თეატრალი. იმაზე მეტი შეუსაბამობა, რაც ამ პიროვნების ცხოვრების ნირს და მის ამგვარ სამსახურს შორის არსებობდა, ძნელი წარმოსადგენია. როცა ვფიქრობდი მასზე, მისი გაცნობის პირველ წუთებზე, ტრივიალური კითხვა მებადებოდა: რა უნდა ყოფილიყო საერთო საქართველოს უზენაესი საბჭოს სხდომათა აქტების გადარუსულებასა და იმ კულტურას შორის, რომელშიც, როგორც სამშობლოში ცხოვრობდა? იმ ყავისფერ მჭლე წიგნებს, რომელთაც ეს დაწესებულება ბეჭდავდა, და ისლანდიურ საგებს შორის? ცხადია, არაფერი. არც ამ დაწესებულების გაკრიალებულ, ხით კედლებმოპირკეთებულ კაბინეტებსა და იმ ერთადერთ ოთახს შორის, სადაც დაუნჯებული იყო მისი ოცნების ნივთიერი გამოხატულება, ევროპული „პანოპტიკუმი“, საითკენაც ის არცთუ დამღლეული შრომის შემდეგ ფრთაშესხმული მიემართებოდა (მეტრო-ავტობუსი), კაჩალოვის ქუჩაზე აჩემებული ბუკინისტური მაღაზიის გავლით, საიდანაც ხელცარიელი არასოდეს დაბრუნებულა. (ასე დღითი-დღე ივსებოდა პანოპტიკუმი). იმ გაყინული სიცალიერიდან ორმოციოდე წუთის შემდეგ მაცოცხლებელ სისავსეში აღმოჩნდება. სავარძელში ჩაფლული სტუმრის წინ კვლავ იმავე ოცნებას ეძლეოდა, რამაც სიჭაბუკეში გაიტაცა. რამ უბიძგა ისლანდიური სამყაროსკენ? პირველი ბიძგი ყოველთვის შემთხვევითია, თავად არაფრით განპირობებულს მთელი ცხოვრების განპირობება შეუძლია. საიდან წარმოიშვა ოცნება ზიგფრიდზე, რომელმაც დაასახლა და განსაზღვრა მისი ცნობიერი სამყარო? ხშირად უთქვამს და ნათქვამს არტისტულად აღმართული მარჯვენით ასურათებდა, რომ ზიგფრიდმა მის შეგნებაში ბავშვობიდანვე გერმანელი ადამიანის ტიპი და იდეალი განასახიერა. ზიგფრიდი იყო ეპოქა მის სიჭაბუკეში. ამგვარი წარმოსახვა იმ ეპოქაში, გასაგები თუ გაუგებარი მიზეზის გამო, ნამდვილად არ იქნებოდა შემთხვევითი. მერე ზიგფრიდმა თავის ისლანდიურ ორეულთან, სიგურდთან, მიიყვანა, რაც მისთვის ბედნიერი აღმოჩენა იყო. სიგურდმა მას ისლანდიური საგების რეალური და მით უფრო მკაცრი და გაუცინარი სამყარო გააცნო და მის ენას დააწაფა. სათარგმნელად მაინც და მაინც საგების მწვერვალი – ნიალის საგა (ნიალა, ანუ ქართულად „ნიალიანი“, როგორ თავად წერს) აირჩია. რატომ? ნუთუ ამ შედეგრით იმიტომ უნდა დაეწყო, რომ მასზე უდარესისთვის (არსებობს კი საგებს შორის მდარე, უდარესი?) ხელი არ მოეკიდა? ასეა თუ ისე, მან დაატოვა ანდერძად: “ისლანდიური საგების თარგმნა ქართული კულტურის ღირსების საქმეა“. მისი აღფრთოვანება ნიალათი არ იყო მხოლოდ ემოციური, რასაც პოეზია აღძრავს. მისი აღფრთოვანება მოიცავდა მთელ კულტურას, რომელსაც შეეძლო იმგვარი რამ ამოეხიდა

თავისი მწირი მიწიდან, თითქმის ბიბლიური თოჰუ-და-ბოჰუდან, როგორც „ცეცხლში დამწვარი ნიალის საგა“ და მისი სიბრძნეა. და ეს კანონზომიერიც არის: სიტყვისა და ქცევის ლაკონიზმი, რაც ამ (და სხვა მრავალ) საგაშია ნიშანდობლივი, სავსებით შეესატყვისება ამ „ქვისა და ხავსის მიწას“, მეორე მხრივ, ეს ლაკონიზმი ანათესავებს მას განთქმულ „ქვიშიან ლაკედემონთან“, მაგრამ ბერძნულენოვანმა მწერლობამ, სამწუხაროდ, არ იცის სპარტული საგა, ისლანდიის კულტურა კი მის გარეშე წარმოუდგენელია. ამ ქვეყნის წარსულში შეიქმნა ადამიანის ტიპი, რომელმაც სიტყვასა და ქცევაში გააცხადა თავი, საგა კი მისი საიმედო ჭურჭელია, რომელსაც დღემდე ცოცხლად მოაქვს ეს კულტურა. კულტურა მკვდარია მასში შეღწევის გარეშე, ხოლო შეღწევის უნარი გიორგი ჯაბაშვილს მიმადლებული ჰქონდა სხვა ადამიანურ და პიროვნულ ნიჭებთან ერთად. მან შეაღწია საგაში, გაუგო საგას, ამიტომაც იგი მისთვის უფრო მეტი იყო, ვიდრე მხოლოდ ცოდნის ან თარგმნის საგანი. საგაში (განვაზოგადოთ ეს სახელი და მოვნათლოთ მით მაღალი კულტურის ყოველი გამოვლინება) ჰპოვა მან თავისი კულტურული სამშობლო, თავისი ცხოვრების ნიშატი.

ბევრს უღვაწია წარმატებით კულტურის ასპარეზზე, მაგრამ მათგან მცირედნი თუ გამხდარან ტრადიციის დამაფუძნებლები. ეს ხვედრია. ეს ხვედრი ჰქონდა მაჩაბელს, როცა მან შექსპირი შემოიყვანა ქართულ კულტურაში. ეს ხვედრი ერგუნა გიორგი ჯაბაშვილსაც, როცა „ნიალის საგის“ თარგმნას შეუდგა და ბრწყინვალედ გაასრულა. მისი საქმის განგრძობა, ნამდვილად, „ქართული კულტურის ღირსების საქმეა“.

გიორგი ჯაბაშვილის ინტერესები ინგლისურ-გერმანიკული სფეროთი არ იზღუდებოდა. მას კულტურ სფეროშიც შეეძლო დამფუძნებელი ყოფილიყო (მაგრამ „მდგომარეობა განსაზღვრავს ყველაფერს“). მას სჩვეოდა და უყვარდა მეგობრების დასაჩუქრება წიგნებით, რომლებიც ხშირად მის საკუთარ ინტერესებს წარმოაჩენდნენ. საბჭოეთის მეგაპოლისიდან, რომელსაც ხუმრობით თუ არსებითად „დიდი სოფელი“ დაარქვეს (თუმცა ამ „სოფელს“ ჩვენს პატარა სამშობლო ბევრი სასარგებლო არტეფაქტით მოუმარაგებია და გიორგი ჯაბაშვილმაც სწორედ იქ შექმნა თავისი ღირსშესანიშნავი ბიბლიოთეკა), გოგისგან – ახლა კი ასე მოვიხსენიებ მას – მეც მიმიღია ძვირფასი, აწფასდაუდებელი, საჩუქრები, მათ შორის უკანასკნელად ეგზოტური *Mabinogion* (შუასაუკუნეებისდროინდელი თერთმეტი უელსური მოთხრობა). წიგნის ბოლო თავისუფალ ფურცელზე ის იწერება: „ზურაბ! გამარჯობა! როგორა ხარ? შენი ოჯახით როგორ ცხოვრობ. ბევრს ვფიქრობ შენზე, თქვენზე. ინსულტი მაქვს, რა ვქნა. ჩემი ძმა არის ჩამოსული, მე მივლის. შეიძლება მომავალ წელს ჩამოვიდეთ. ვნახოთ. ბოდიში, რომ აქ გწერ, მაგრამ მდგომარეობა განსაზღვრავს ყველაფერს. ჩვენს შეხვედრამდე. ეს წიგნები შენთვის მაქვს დიდი ხანია, მაგრამ არაფერი გაეწყო. ნახვამდის, მალე ნახვამდის. გოგი.“

ზურაბ კიკნაძე